ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №312526

ნომერი: AR168970

თარიღი : 27.07.2012

გაცემის თარიღი : 16.08.2012

გაცნობის თარიღი : 17.08.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გუდამაყარი , N 4 , (ნაკვ. 05/007) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ანზორ ცხოვრებაშვილი პ/ნ 01025000531
- თბილისი დიდი დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 13 ბ. 35

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. გე-ნი კოდი: 404898152

ნომენკლატურა :
- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 13 ივლისის №260515 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 27 ივლისს №AR168970 განცხადებით მომართა შპს „გე-ნი“-ს მინდობილმა პირმა ანზორ ცხოვრებაშვილმა (მინდობილობა №12/61 05.05.2012წ.) და მოითხოვა 2012 წლის 13 ივლისის №260515 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2012 წლის 13 ივლისის №260515 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, გუდამაყრის ქ. №4 (ნაკვ. №05/007), შპს ,,გე-ნი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. №005/015) მრავალფუნქციური ობიექტის ,,ა ბლოკი"-ს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 13 ივლისიდან 2013 წლის 13 იანვრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ანგარიშში მათ მიერ დაშვებული იქნა მექანიკური შეცდომა, კერძოდ: კომერციული ფართობი ნაცვლად 517.4 კვ.მ. უნდა იყოს 557.4 კვ.მ.; სარდაფის ფართობი ნაცვლად 70.1 კვ.მ. უნდა იყოს 79.7 კვ.მ; შესაბამისად საერთო ფართი ნაცვლად 6234.1 კვ.მ. უნდა იყოს 6 283.7 კვ.მ.
სამსახურის მიერ გადამოწმებული იქნა შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციასთან მიმართებაში მოთხოვნის საფუძვლიანობა და დაადგინა, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან/და დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის, 51-ე, 52-ე, 63-ე, 95-ე, 96-ე და მე-100 მუხლების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. შევიდეს ცვლილება სამსახურის 2012 წლის 13 ივლისის №260515 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1303.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 552.5
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 6283.7
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 3651.2
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 557.4
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 634.8
- .სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 79.7
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 683.2
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 13.0
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 664.4
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 23569.2
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 20006.9
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 3562.3
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 56.2
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 51.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 4.7
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 552.5 - 0.4
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 5107.5

- 3.9

- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 442.5 - 0.4

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას სამსახურის 2012 წლის 13 ივლისის №260515 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.